

საქართველოს კონტროლის პალატის დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი
ბულგარეთის ეროვნულ აუდიტორულ ოფისში

საქართველოს კონტროლის პალატის დელეგაცია 2009 წლის 19-24 ივლისს ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ქ. სოფიაში, ბულგარეთის ეროვნული აუდიტორული ოფისის მიწვევით. დელეგაციას ხელმძღვანელობდა კონტროლის პალატის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი. ვიზიტის ფარგლებში დელეგაციამ შეხვედრები გამართა ბულგარეთის ეროვნული აუდიტორული ოფისის თავმჯდომარესთან, პროფესორ ვლადიმერ დიმიტროვთან და კოლეგიის წევრებთან. შეხვედრებზე განიხილეს შემდეგი საკითხები: აუდიტის მართვის პოლიტიკა და სახელმძღვანელო პროცედურები, უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტის შესაძლებლობების გაძლიერება, Sigma-ს პროგრამა, Twinning-ის პროექტები, EUROSAI –ს სამუშაო ჯგუფის როლი გარემოს დაცვის აუდიტთან დაკავშირებით, ადამიანური რესურსების მართვა, ბულგარეთის ეროვნული აუდიტორული ოფისის თანამშრომლების გადამზადება, ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება, ფინანსური და ეფექტიანობის აუდიტის მეთოდოლოგია, აუდიტის დაგეგმვისა და ხარისხის კონტროლი და ა.შ. მხარეებმა ისაუბრეს მომავალ თანამშრომლობაზე, არსებული გამოცდილებისა და ცოდნის ურთიერთგაზიარების ფორმებზე. უღვარულმა მხარემ გამოთქვა მზადყოფნა აქტიური მონაწილეობა მიიღოს საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობის რეფორმის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. მასპინძელი ქვეყნის აუდიტორული ოფისის სხვადასხვა დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან შეხვედრები გამართეს საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე დევი ვეფხვაძემ, ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსმა გიორგი ბოტკოველმა და თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ჩადუნელმა.